



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 74

„27“ ივლისი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უპირობოდ, თხოვნის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სოფელ რუისპირში მცხოვრებ იზოლდა ჭყოიძეს (პირადი №20001048372) 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე 2817 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 160 კვ.მ შენობა - ნაგებობა (ს/კოდი №53.11.42.183, მიწის ნაკვეთის ღირებულება 36 000 ლარი, შენობა - ნაგებობის ღირებულება 7 200 ლარი);

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).



საკრებულოს თავმჯდომარე *პაატა გიორგობიანი* პაატა გიორგობიანი